პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 126 (3610)

29 ივნისი, შაბათი. 1968 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.



# რევანში მესამე დღესვე

მოსკოვი, 27 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ეს იყო დიდი კალათბურთის საუკეთესო წარმომადგენელთა შეხვედრა. სსრ კავშირისა და აშშ-ს გუნდები ხომ მეხიკოს ბატალიების მთავარი ფავორიტები იქნებიან! მინსკის ტურნირში ამერიკელთა გუნდთან მარცხის შემდეგ (78:84) საბჭოთა ნაკრები გუშინ, მოსკოვის ტურნირის პირველსავე მატჩში, ისევ შეხვდა თავის მთავარ მეტოქეს. საბჭოთა კალათბურთელები ამჯერად უფრო გაბედულად მოქმედებდნენ. დაიწყო თუ არა მატჩი, ისინი დაწინაურდნენ, ინიციატივა ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ და მოიგეს მატჩი — 91:83 (42:36). საბჭოთა გუნდის თავდამსხმელებიდან საუკეთესონი იყვნენ ა. პოლივოდა (გუნდს მოუტანა 25 ქულა), მ. პაულაუსკასი (17), ამერიკელებიდან — ჩ. სკოტი (19) და კ. ფაულერი (16).

თამაში სწრაფ ტემპში დაიწყო. ამერიკელთა მოლოდინი არ გამართლდა. მათ ეგონათ, რომ ჩვენები თავიდანვე პრესინგს მიმართავდნენ და ამისათვის ყველა „იარაღი" ჰქონდათ მზად. მაგრამ აღმოჩნდა, რომ საბჭოთა გუნდი პრესინგზე სულაც არ ფიქრობდა, — მან პოზიციური ბრძოლა ამჯობინა. სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი, რომ სტუმრებმა ვერაფერი გააწყვეს ყველა რგოლში ძლიერად მოთამაშე ჩვენს კალათბურთელებთან. დაცვაში, როგორც ყოველთვის, გამოირჩეოდა ზ. საკანდელიძე. ეს შესანიშნავი, რაკეტული სისწრაფის მქონე კალათბურთელი ხან ფხიზლად დარაჯობდა თავის კარს, ხანაც ამერიკელთა კალათს ბომბავდა. ბოლო წუთებზე მის მიერ ზუსტად ნატყორცნმა ბურთმა მიზანს მიაღწია და მგონია ეს ის 2 ქულა იყო, ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი რომ ითამაშა სტუმრების საბოლოოდ „გატეხვაში".

ამ დღეს იუგოსლავიის ნაკრებმა მოუგო სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდს — 87:72.

დღეს ამერიკელებმა დაამარცხეს იუგოსლაველები — 98:84, ხოლო სსრ კავშირის ნაკრებმა — ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული გუნდი — 91:64.

* * *

სურათზე: სსრ კავშირისა და აშშ-ს ნაკრები გუნდები სპორტის სასახლის მოედანზე. წამიც, და ზურაბ საკანდელიძე საბჭოთა გუნდს კიდევ ორ ქულას მოუტანს.

ფოტო ი. შალამოვისა („კომსომოლსკაია პრავდა").

## [illegible]

◆ სტამბოლი, 28 ივნისი. საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლის — „თურქეთის ტურის" V ეტაპი მოიგო გორკელმა ა. კულიბინმა: ედრმიტიდან იზმირამდე 200-კილომეტრიანი მანძილი მან 5 საათში, 18 წუთსა და 12 წამში დაფარა. 5 ეტაპის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში წინაა რსფსრ-ს ნაკრები — 51:23.30. შემდეგ მოდიან: ჩეხოსლოვაკია — 51:37.42 და ჰოლანდია — 51:50.11. პირად ჩათვლაში ლიდერობს 22 წლის ჰოლანდიელი გერტოგი — 16:58.08. II ადგილზე მყოფი კულიბინი ჰოლანდიელს 3,33 წამით ჩამორჩება.

◆ მიუნხენი, 28 ივნისი. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ევროპის ჩემპიონმა ვერა ნიკოლიჩმა (იუგოსლავია) 800 მ 2 წუთსა და 2,9 წამში გაირბინა. სამხრეთაფრიკელმა სტუდენტმა პოლ ნეშმა, რომელიც ბრიტანეთის ღირსებას იცავს, გაიმარჯვა ორივე სპრინტერულ დისტანციაში: 100 მ — 10,2 და 200 მ — 20,6. 100 მეტრზე თარჯრბენში ბადალი არ ჰყავდა ევროპის ჩემპიონს ე. ოტოზს (იტალია) — 13,5. მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი ლიზელ ვესტერმანი (გფრ) საუკეთესო იყო ბადროს ტყორცნაში — 59,50 მ.

◆ ხინაია (რუმინეთი), 28 ივნისი. მოჭადრაკე ქალთა აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში I-II ადგილები გაიყვეს ტ. ზატულოვსკაიამ (ბაქო) და იუგოსლავიის ჩემპიონმა ტ. შტადლერმა.

◆ კასაბლანკა, 28 ივნისი. ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის პირველი შესარჩევი მატჩი ალჟირისა და გვინეის გუნდებს შორის ფრედ დამთავრდა — 2:2. განმეორებითი შეხვედრა აქვე გაიმართება 30 ივნისს.

◆ სტოკჰოლმი, 28 ივნისი. „როსუნდას" სტადიონზე მხოლოდ 15 ათასამდე მაყურებელი დაესწრო შვეციისა და დანიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრები გუნდების 69-ე შეხვედრას. მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:1. 1937 წლიდან დანიელებმა ვერც ერთხელ ვერ აძლიეს შვედებს.

◆ სოფია, 28 ივნისი. ფრენბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მარცხი განიცადა მასპინძლებთან — 2:3 (15:9, 1:15, 16:14, 1:15, 12.15). ჩეხოსლოვაკიის გუნდმა მოუგო რუმინელებს (3:1), ხოლო გდრ-ის სპორტსმენები თამაშისგან თავისუფალი იყვნენ.

◆ ტურკუ, 28 ივნისი. ფინეთის ამ ქალაქში ჭოკით ხტომაში გდრ-ის ახალი რეკორდი დაამყარა ვ. ნორდვიგმა — 525 სმ. ეს შედეგი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

◆ ბერლინი, 28 ივნისი. სსრ კავშირის, პოლონეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, რუმინეთის, კუბისა და გდრ-ის ნორჩ მძლეოსანთა შეჯიბრებაში 100 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ლ. შარკოვამ — 11,3. ეს მოზრდილთა საკავშირო რეკორდის გამეორებაა, მაგრამ გარბენის დროს ქროდა ნორმაზე მეტი ზურგქარი (4,7 მ წამში). სიგრძეზე ხტომაში II ადგილი დაიკავა ე. სმირნოვამ (591 სმ), რომელიც 2 სანტიმეტრით ჩამორჩა გამარჯვებულ კ. ზიგლერს (გდრ). საბჭოთა ჭაბუკებმა მოიგეს 4×100 მ ესტაფეტა, ხოლო კორნოლიუკი პირველი იყო 100 მეტრზე რბენაში — 10,4. მას 0,1 წამით ჩამორჩა კუბელი ბანკომო, რომელსაც წინასწარ გარბენში დღის საუკეთესო შედეგი ჰქონდა (10,3).

## [illegible]

● ჰელსინკი, 27 ივნისი. 12 ქვეყნის მძლეოსანთა აქ დაწყებულ შეჯიბრებაში ტალინელმა კ. იურკატამმა ყველას აჯობა 200 მეტრზე თარჯრბენში — 24,1. წარმატებას მიაღწია კიდევ ერთმა ესტონელმა სპორტსმენმა: 800 მეტრზე რბენის ფინიშთან პირველი იყო რ. ტელპი — 1.51,3. 5000 მეტრზე რბენაში ფრანგმა ჟ. ვადუმ (13.40.8) უკან ჩამოიტოვა მსოფლიოს რეკორდსმენი რ. კლარკი (ავსტრალია) — 13.41,4. ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიოს რეკორდსმენმა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში გ. რულანტსმა (ბელგია) ამჯერადაც მოიგო შეჯიბრება ამ სახეობაში — 8.41,8. სხვა გამარჯვებულთა შორის დავასახელებთ: სიგრძეზე ხტომაში — პ. პოუსის (ფინეთი) — 794 სმ, უროს ტყორცნაში — ტ. სუგავარას (იაპონია) — 65,68 მ, ჭოკით ხტომაში — ვ. მუსტაკარის (ფინეთი) — 515 სმ.




## რეპეტიცია!

მეხიკო, 27 ივნისი. მექსიკის დედაქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა XIX ოლიმპიადის საზეიმო გახსნის პირველი რეპეტიცია.

ოლიმპიური თამაშების ცერემონიალის სავარაუდო გახსნაში ათასზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა, სპეციალური კომისია კი სტადიონის მწვანე მინდორზე სპორტული დელეგაციების მოწყობისთვის აუცილებელ დროს ალნუსხავდა. ამ ქრონომეტრირების შედეგები გათვალისწინებული იქნება დროის ზუსტი გრაფიკის შედგენისას, რომელიც მომავალი ოლიმპიადის გახსნის განრიგს დაედება საფუძვლად.

ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი რეპეტიციებს ჩაატარებს 30 აგვისტოსა და 12 სექტემბერსაც. ეს იქნება გენერალური რეპეტიციები, რომლებშიც 8-8 ათასი კაცი გამოვა.

## 90 ათასი ტურისტი

მომავალი ოლიმპიადის დღეებში მექსიკის დედაქალაქი 70 ქვეყნის 90 ათას ტურისტს ელის. საორგანიზაციო კომიტეტის დაბინავების სამსახურის უფროსმა რ. ალატორემ განაცხადა, რომ ბილეთები და ბინა შეკვეთილია 48 ათასი კაცისთვის. ოლიმპიური სტუმრებისთვის დაჯავშნულია ყველა საუკეთესო სასტუმრო. 17.700 კაცი კერძო ბინებში განაწილდება.

## ლიბანიც, საფრანგეთიც...

ტრიპოლი, 28 ივნისი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ლიბანმა გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს XIX ოლიმპიურ თამაშებში. ამ ქვეყნის სპორტსმენები იასპარეზებენ მძლეოსნობაში, კრივში, ძალოსნობაში, ჭიდაობასა და ველორბოლაში.

პარიზი, 28 ივნისი. საფრანგეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ მეხიკოში გაგზავნის 204 სპორტსმენს: 41 მძლეოსანს (33 ვაჟსა და 8 ქალს), 16 მოცურავეს, 22 ნიჩბოსანს, 5 მოკრივეს, 16 ველოსიპედისტს, 20 მოფარიკავეს, 10 ტანმოვარჯიშეს, 4-4 მოჭიდავესა და ხუთჭიდელს, 8-8 ცხენოსანსა და მსროლელს, 11 აფროსანს, 19 ფეხბურთელს, 20 ბალახის ჰოკეისტსა და ძალოსანს.



## პირველი ყაიმი

მოსკოვი, 27 ივნისი. სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გუშინწინ გაიხსნა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი საბჭოთა დიდოსტატებს მ. ტალსა და ვ. კორჩნოის შორის. კენჭისყრით პირველ და, საერთოდ, კენტ პარტიებში თეთრებით ითამაშებს ტალი.

გუშინ საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში შედგა მატჩის I პარტია. მეტოქეებმა ახალინდური დაცვა გაითამაშეს. მე-10 სვლაზე კორჩნოიმ 20 წუთი იფიქრა და გამომწვევი მანევრი წამოიწყო. ტალი არ აჰყვა მეტოქეს: მან უამრავი გაცვლა გამოიწვია. თამაში მწვავე ენდშპილში გადავიდა, სადაც ტალი შეეცადა უპირატესობის მიღებას, მაგრამ ამაოდ.

მე-40 სვლაზე კორჩნოის წინადადებით მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა

# ორგანიზებულად

განათლების სამინისტროს ადრე ხშირად საყვედურობდნენ: მოსწავლე მძლეოსანთა რესპუბლიკურ ტურნირებში მონაწილე გუნდების რიცხვი და შემადგენლობანი მეტისმეტად შეზღუდულიაო. ეს მართლაც უშლიდა ხელს სპორტსმენთა მომზადების დონის სრულყოფილ შემოწმებას და საუკეთესოთა შერჩევას. ამ მიზეზის გამოც იყო, რომ მოსწავლეთა შარშანდელ საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს გუნდმა წარმატება ვერ მოიპოვა.

როგორც ჩანს, გაკვეთილს უკვალოდ არ ჩაუვლია: წლევანდელი რესპუბლიკური შეჯიბრების ორგანიზატორების მიმართ ქების მეტი არაფერი გვეთქმის. დავიწყოთ იმით, რომ სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსანთა ტურნირის დებულება ყველა ქალაქსა და რაიონს აძლევდა საასპარეზოდ გუნდების ჩამოყვანის უფლებას.

I ჯგუფში უნდა გამოსულიყვნენ თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისისა და რუსთავის, ხოლო მეორეში — სხვა ქალაქებისა და რაიონების გუნდები. არც სპორტსმენთა შესაძლებლობები შეუზღუდავთ. საშუალო ასაკის მძლეოსნებს ესტაფეტის ჩაუთვლელად 3-3 სახეობაში გამოსვლის უფლება ჰქონდათ, სამაგიეროდ, მკაცრი მოთხოვნები წაუყენეს I ჯგუფის კოლექტივებს: გუნდი, რომელსაც რომელიმე სახეობაში მონაწილე არ ეყოლებოდა ან საასპარეზოდ ტექნიკურად მოუმზადებელ სპორტსმენს გამოიყვანდა, 350 ქულით ჯარიმდებოდა. ამ წესმა ყველაზე მეტად აზარალა რუსთავის ნაკრები, რომელსაც ტურნირის ბოლო დღემდე უარყოფითი ბალანსი ჰქონდა.

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საასპარეზოდ 43 გუნდის 600-მდე მძლეოსანმა მოიყარა თავი. რესპუბლიკური ტურნირისთვის ეს საკმაოდ დიდი ციფრია, მაგრამ მსაჯებმა (უფროსი მსაჯი — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ვ. ვდოვინი, უფროსი მდივანი — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ლ. ავეევა) შესანიშნავად გაართვეს თავი რთულ ამოცანას: ტურნირი სანიმუშოდ მოეწყო.

ვერც შეჯიბრების შედეგებს დავემდურებით. როგორც უმცროსი (13-14 წლის), ისე საშუალო (15-16) ასაკის ჯგუფში გამარჯვებულთაგან ყველამ მიაღწია მოზრდილთა III თანრიგის შედეგს მაინც. ბევრი ნიჭიერი მძლეოსანიც გამოვლინდა. განსაკუთრებით მოწონებას იმსახურებენ საშუალო ასაკის მძლეოსნები: თბილისელი ე. გაფრინდაშვილი, ბათუმელი ს. აბოიანი, ლანჩხუთელი თ. გოგიბერიძე, უმცროს ასაკში — ხაშურელი ნ. ლაბაძე და სხვ. გაფრინდაშვილმა 6-კილოგრამიანი ურო 60,63 მეტრზე ტყორცნა და 31 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე რესპუბლიკური რეკორდი. რვაჭიდელმა აბოიანმა აჭარის სპარტაკიადაში 4237 ქულა მოაგროვა და გოგიბერიძეს რესპუბლიკური რეკორდი ჩამოართვა. ამჯერად აბოიანმა 4517 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ რეკორდსმენის სახელი მაინც ვერ შეინარჩუნა: უკონკურსოდ მოასპარეზე გოგიბერიძემ 4909 ქულა მოაგროვა. ეს 45 ქულით აღემატება საკავშირო მიღწევას, რომელიც ამას წინათ მოსკოველმა ვ. შიდლოვსკიმ დაამყარა (მოგვყავს გოგიბერიძის მაჩვენებლები ცალკეულ სახეობებში: 100 მ რბენა — 11,3, 110 მ თარჯრბენი — 15,8, სიგრძეზე ხტომა — 565, ჭოკით ხტომა — 330, ბადროს ტყორცნა — 40,51, შუბის ტყორცნა—44.42, სიმაღლეზე ხტომა — 165, 800 მ რბენა — 2.13,8).

საშუალო ასაკის ჭაბუკთა შორის სიმაღლეზე ხტომაში თავისივე რესპუბლიკური მიღწევა გაიმეორა თბილისელმა ვ. უზმორსკიმ — 195 სმ. სამივე გამარჯვებულმა მოზრდილთა I თანრიგის ნორმატივს გადააჭარბა. 100 მეტრზე საშუალო ასაკის გოგონათა რბენაში გამარჯვებულ მ. დორონოვას (თბილისი) წინასწარ გარბენში I თანრიგის შედეგისთვის 0,2 წამი არ ეყო, 14 წლის ნათელა ლაბაძემ კი ბადრო თავის უფროს კოლეგებზე შორს (36,82 მეტრზე) ტყორცნა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტურნირს გულგრილად მოეკიდნენ რუსთავის, სიღნაღის, თერჯოლის, ზესტაფონის, გურჯაანის, ახალციხის, გორის, ვანის, წყალტუბოს განათლების განყოფილებები. მათი ზოგიერთი სპორტსმენი ტექნიკური მოუმზადებლობისთვის მოხსნეს შეჯიბრებიდან.

ო. ბელაშვილი.



* * *

### ტექნიკური შედეგები

**უმცროსი ასაკი. გოგონები.** **60 მ რბენა.** თ. დრიაევა (თბილისი) — 8,2, ტ. დერიპასკა (ქუთაისი) — 8,3, ს. პავლოვა (თბილისი, პირადი) — 8,3; **60 მ თარჯრბენი.** დრიაევა— 9,5, ე. ყარდაშოვა (აჭარა) — 9,5, ე. ყალიჩავა (თბილისი, პირადი) — 9,6; **სიგრძეზე ხტომა.** ლ. არღუნი (აფხაზეთი) — 504, მ. ალიაკრინსკაია (თბილისი) — 495, ყარდაშოვა — 478; **სიმაღლეზე ხტომა.** გ. პოლიაკოვა — 148, გ. ბერუაშვილი (ორივე — თბილისი) — 140, ლ. შამშუტდინოვა (თბილისი, პირადი) —130; **ბადროს ტყორცნა.** ნ. ლაბაძე (ხაშური) — 36,82; დ. აბულაძე (ქუთაისი) — 27,70, გ. გამრეკელაშვილი (აჭარა) — 27,62; **3 კგ ბირთვის კვრა.** გამრეკელაშვილი — 10,40, ლ. ტაკნიაშვილი (თბილისი) — 9,60, ნ. სოსნოვიკოვა (აფხაზეთი) — 9,05; **პიონერული ოთხჭიდი.** ალიაკრინსკაია — 339 ქულა, გ. პოლიაკოვა (თბილისი) — 299, არღუნი — 288. **ბიჭები. 60 მ რბენა.** გ. თამაზაშვილი (აჭარა) — 7,5, ვ. სარქისიანი (თბილისი) — 7,6, მ. მოძღვრიშვილი (სამტრედია)—7,6; **60 მ თარჯრბენი.** ა. ქურცუა (ჩოხატაური) — 9,1, ა. ბოგდანოვი (თბილისი) — 9,2, ვ. სიდელნიკოვი (აფხაზეთი) — 9,3; **სიგრძეზე ხტომა.** ქ. მოშიაშვილი (ქუთაისი) — 589, ე. ჩიკვაშვილი (ვანი) — 554, ვ. პლიევი (თბილისი) — 545; **სიმაღლეზე ხტომა.** მ. ნამგალაძე (მახარაძე) — 155, მ. ჰურჰელაური (თბილისის ინტერნატი, პირადი) — 150, ვ. ელისტრატოვი (დუშეთი)— 145; **1 კგ ბადროს ტყორცნა.** ვ. კარხალოვი (აფხაზეთი) — 38,74, გ. ბედოშვილი (თბილისი) — 38,38, გ. მახვილაძე (ქუთაისი)—37,90; **5 კგ ბირთვის კვრა.** რ. სარქისოვი (თბილისი) — 11,33, ა. ტორშინი (აჭარა) — 11,30, გ. გუგავა (ლენტეხი) — 10,32; **პიონერული ოთხჭიდი.** მოშიაშვილი — 316, ელისტრატოვი — 312, ქურცუა — 312.

**საშუალო ასაკი. გოგონები.** **რბენა: 100 მ.** მ. დორონოვა—12,8, ს. გონჩაროვა (ორივე — თბილისი) — 13,0, ნ. ონუფრიენკო (თბილისი, პირადი) — 13,2, **200 მ.** ლ. ფარცვანია (ფოთი) — 26,3, დორონოვა — 26,8, ტ. ოსიპოვა (თბილისი, პირადი) — 27,0; **400 მ.** ლ. ჭარბაძე (თბილისი) — 1.03,2, ი. პარშინა (აფხაზეთი) — 1.03,8, ლ. კონოვალოვა (აჭარა) — 1.04,4; **600 მ.** თ. გორბატენკო (თბილისი) — 1.45,0, ლ. სოლოვიოვა (თბილისი, პირადი) — 1.45,6, პარშინა — 1.46,7; **80 მ. თარჯრბენი.** რ. ჩუბინიძე (ქუთაისი) — 12,2, ლ. მალცევა (აჭარა) — 12,9, ლ. შუმაკოვა (თბილისი, პირადი) — 12,9; **სიგრძეზე ხტომა.** ი. ევრანოვა (თბილისი) — 501, ს. გოგრიჭიანი (მახარაძე) — 470, მ. მალოლეტკინა (გარდაბანი) — 469; **სიმაღლეზე ხტომა.** მალცევა (პირადი) — 145, ა. კეთილაძე (აჭარა) — 140, ტ. ორლოვა (აფხაზეთი) — 140; **ბადროს ტყორცნა.** ნ. ჭიკაიძე (დუშეთი) — 35,20, ლ. არსოშვილი (გარდაბანი) — 32,86, ო. შტუკატუროვა (აჭარა) — 31,94; **შუბის ტყორცნა.** თ. ვანეევა (სამხრეთ ოსეთი) — 35,78, მ. ფირცხალავა — 30,88, ლ. შევჩენკო (ორივე — აფხაზეთი)—29,28; **ბირთვის კვრა.** ლ. დენისოვა (თბილისი) — 10,94, მ. მეროზია (აჭარა) — 9,64, ჭიკაიძე — 9,58; **ოთხჭიდი.** ევრანოვა — 2963, ნ. ალექსეევა (აფხაზეთი) — 2770, ს. ხრინკო (თბილისი) — 2733; **ესტაფეტა 4×100 მ.** თბილისი — 52,6, ქუთაისი — 53,6, აფხაზეთი—54,1. **ჭაბუკები. რბენა: 100 მ.** ვ. სტეციაკი (აფხაზეთი) — 11,6, ბ. ხაბიაშვილი (ქუთაისი) — 11,7, თ. ნალბანდოვი (სამხრეთ ოსეთი) — 12,0; **200 მ.** სტეციაკი — 23,7, ს. სვისტელნიკოვი (თბილისი) — 24,0, ნ. საგიევი (თბილისი, პირადი) — 24,2; **400 მ.** სტეციაკი — 55,0, ბ. ყურწია (ზუგდიდი) — 55,2, ს. გირლინი (თბილისი) — 55,4; **800 მ.** ვ. ოვჩენიკოვი (აფხაზეთი)—2.03,1, ს. გიმდინი (თბილისი) — 2.03,8, ე. მუხანოვი (აჭარა) — 2.06,0; **110 მ. თარჯრბენი.** პ. კოვზირიძე (ქუთაისი) — 16,7, ი. ინდრიაკოვი — 16,9, ა. შუბინი (ორივე — თბილისი) — 17,0; **სიგრძეზე ხტომა.** ვ. ომელჩენკო (თბილისი) — 630, ა. ტარკილი — 616, ნ. მანაშეროვი (ორივე — აფხაზეთი) — 616; **სიმაღლეზე ხტომა.** ვ. უზმორსკი — 195, ა. შუბინი (ორივე — თბილისი) — 185, ი. შოშკოვი (აჭარა) — 170; **სამხტომი.** რ. ეთერაშვილი (ქუთაისი) — 13,30, ი. მოგუსევი (აჭარა) — 13,25, ლ. ხლიბოვი (აფხაზეთი) — 13,12; **ჭოკით ხტომა.** ვ. ამოევი — 340, ვ. ბიკოვი (ორივე — თბილისი) — 340, ს. მანყუკოვი (თბილისი, პირადი) — 310; **1,5 კგ ბადროს ტყორცნა.** თ. ჯებაშვილი (თბილისი, პირადი) — 44,46, ვ. კოკოევი (სამხრეთ ოსეთი) — 42,64, ი. ჰურაძე (ქუთაისი) — 38,82; **600 გრ შუბის ტყორცნა.** უ. ბარბაქაძე (თბილისის ინტერნატი, პირადი) — 57,26, გ. გუსოევი (სამხრეთ ოსეთი) — 54,90, ნ. უპენიოკი (აჭარა) — 54,30; **6 კგ უროს ტყორცნა.** ე. გაფრინდაშვილი — 60,63, ბ. დერეიცკი (ორივე — თბილისი) — 41,76, ჰურაძე — 40,38; **ბირთვის კვრა.** თ. კილაძე (მახარაძე) — 13,10, კოკოევი — 12,72, ბ. ნემსიწვერიძე (ონი) — 12,00; **5 კმ სპორტული სიარული.** ვ. სანიკიძე (თბილისი, პირადი) — 25.57,6, ა. შალვაშვილი (თბილისი) — 27.34,8, ა. კეშჩანი (აფხაზეთი) — 28.18,4; **ესტაფეტა 4×100 მ.** თბილისი — 47,2, აფხაზეთი—47,3, ქუთაისი — 47,6; **რვაჭიდი.** ს. აბოიანი (აჭარა) — 4517 ქულა, გ. სარქისიანი (თბილისი) — 3796, თ. ბიტიევი (სამხრეთ ოსეთი) — 3519.

### გუნდური შედეგები

**I ჯგუფი.** თბილისი — 38.448 ქულა, აჭარა — 30.360, აფხაზეთი— 27.838, ქუთაისი — 27.724, სამხრეთ ოსეთი — 22.300, რუსთავი — 2.296.

**II ჯგუფი.** ფოთი — 13.987, ონის რაიონი — 8.511, დუშეთის რაიონი — 8.020, სამტრედიის რაიონი — 7.514, გორი — 6.355, მახარაძის რაიონი — 5.887.

* * *

**სურათზე:** თ. გოგიბერიძე რეკორდის დამყარების შემდეგ.

ფოტო ვ. ბუკინისა.

„ლელო“ ინტერვიუ

## შედარებაც ადასტურებს

**იმის გამო, რომ „სპარტაკის“ აუზში 8-მეტრიანი ტრამპლინის მოწესრიგება ვერ მოხერხდა, წყალში მხტომელთა შეჯიბრება ზამთრის რესპუბლიკურ აუზში გადაიტანეს. მონაწილენი ორ ასაკობრივ ჯგუფად გაჰყვეს. ასპარეზობაში თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის სპორტსმენები ჩაებნენ. გუნდური ადგილებიც ასეთივე თანმიმდევრობით განაწილდა.**

**ტურნირის დამთავრების შემდეგ უფროს მსაჯს, საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვ. ბაიკოვის ვთხოვეთ გამოეთქვა თავისი აზრი შეჯიბრების შედეგებზე.**

— შარშანდელთან შედარებით შედეგებმა იკლო, — გვითხრა უფროსმა მსაჯმა. — ეს შეიძლება იმისი ბრალი იყოს, რომ ლიდერებმა საშუალო სკოლა დაამთავრეს, მათი ადგილები კი გუნდებში ახალბედებმა დაიკავეს. ამასთან, სარბიელზე ზოგიერთი ისეთი სპორტსმენი გამოვიდა, თითქმის პირველად რომ ცდიდა ბედს ამ სახეობაში. მართალია, წლევანდელ წარუმატებლობას თუნდაც პრიზიორთა ტექნიკური შედეგების შედარებაც ადასტურებს.

**პრიზიორთა ტექნიკური შედეგები: უმცროსი ასაკის გოგონები. 3-მეტრიანი ტრამპლინი.** მ. კოკოშვილი (აფხაზეთი) — 63,07 ქულა, გ. რუხაძე — 57,58, ს. ალიევა (ორივე — თბილისი) — 51,24; **5-მეტრიანი კოშკი.** რუხაძე—34,95, კოკოშვილი — 29,85, ს. ბიკადაროვა (ქუთაისი) — 27,15. **ბიჭები. 3-მეტრიანი ტრამპლინი.** ს. ვართანოვი — 107,43, რ. ბალდასაროვი (ორივე — თბილისი) — 61,02, ა. გრიგორიანი (აჭარა) — 54,32; **5-მეტრიანი კოშკი.** ვართანოვი — 119,08, ს. ბელოზაროვი (აფხაზეთი) — 85,65, ბალდასაროვი — 66,99; **უფროსი ასაკის გოგონები. 10-მეტრიანი კოშკი.** ე. ბოიარკინა (აფხაზეთი) — 71,01, მ. ამაღლობელი 42,40, ლ. გნიოტოვა (ორივე — თბილისი) — 34,87. **ჭაბუკები. 10-მეტრიანი კოშკი.** ს. ჩუნიხინი (თბილისი) — 114,27, ა. ტაბუნოვი (აფხაზეთი) — 93,54, ა. ნადობნი (თბილისი) — 56,62.

რჩევა მესამე

## ყველაზე ხელსაყრელი და შედეგიანი

ბლოკის შემსრულებელთა და თავდამსხმელთა მოქმედებაზე დაკვირვების შემდეგ დავასკვნით, რომ თუ ამ მოპირისპირე მოთამაშეთა რაოდენობა ერთნაირია, თანაბარია მათი ბრძოლის შანსებიც. მაგალითად, სამი თავდამსხმელი უტევს, ბლოკის სამი მოთამაშე კი თავს იცავს. თავდამსხმელებს თითქოს ერთგვარი უპირატესობაც აქვთ — მათ შეუძლიათ მოქმედება გამორბენით შეასრულონ, უფრო მაღლა ახტნენ და ა. შ.

მაგრამ ღრმა ანალიზის შემდეგ სხვა დასკვნამდე მივდივართ: თავდამსხმელთა და ბლოკის მოთამაშეთა შანსები მუდამ როდია ერთნაირი. სამი მოთამაშით თავდასხმის შესრულება ყოველთვის არ ხერხდება. მაგალითად, წინა ხაზის ერთ-ერთი მოთამაშე გამთამაშებლის როლში აღმოჩნდა, მეორემ კი ვერ მოასწრო შეტევაში ჩაბმა, რადგან ძნელი მოწოდების მიღებით იყო დაკავებული. ამგვარად, თუ ბლოკის მოთამაშეებს თითქმის მუდამ შეუძლიათ შეასრულონ ჯგუფური ბლოკი (2-3 კაცით), თავდამსხმელებს საკმაოდ ხშირად შეტევის განხორციელება მხოლოდ 2 მოთამაშით უხდებათ.

თავდამსხმელთა მდგომარეობა ამჟამად იმითაც რთულდება, რომ ბლოკის შემსრულებლებს თამაშის დროს ბადეზე ხელის გადატანის უფლება ენიჭებათ.

როგორც ხედავთ, წარმატებით ბრძოლის შანსები თავდამსხმელებს საკმაოდ მცირე აქვთ.

თავდასხმითი და თავდაცვითი მოთამაშეების შეფარდების პრობლემა დიდი ხანია გადაწყვეტილია ისეთ თამაშებში, როგორიცაა კალათბურთი, ხელბურთი და თვით ფეხბურთი, სადაც გუნდის ყველა მოთამაშე აქტიურად მონაწილეობს როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაში.

ამიტომ ახლა ყველაზე აქტუალური საკითხი ისაა, შეიძლება თუ არა შეტევის მომენტში თავდაცვის მოთამაშეთა (უკანა ხაზის) ხარჯზე თავდამსხმელთა რიცხვის გაზრდა. რა გვიშლის ხელს, ეგრეთ წოდებული 3-მეტრიანი ხაზი?

ჩვენი აზრით, თავდაცვითი ზონის მოთამაშისთვის, რომელმაც თავდასხმითი დარტყმა უნდა შეასრულოს, თავდასხმის ხაზი რთულ დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს (თუ 3-მეტრიან ხაზს კარგად მოსხლტები, მაშინ ბადიდან 2-2,5 მეტრის დაშორებით შეიძლება წარმატებით შეასრულო დარტყმა და მხოლოდ ამის შემდეგ დაეშვა თავდასხმის ზონაში. ასეთ ვითარებაში თავდასხმის ზონაში ყოფნა წესებით დაშვებულია). ამგვარი თავდასხმითი დარტყმა, ამასთან, თუ ეს შეხამებულია წინა ხაზის მოთამაშეების მიერ თავდასხმითი მოქმედების იმიტაციასთან, ბლოკის შემსრულებლებს მთლიანად შებოჭავს და, ფაქტიურად, უმოქმედო მდგომარეობაში ჩააყენებს. მაგალითად, მესამე ზონის მოთამაშე ასრულებს სწრაფ გარბენს და ნახტომს, იღებს ბურთს მოკლე გადაცემიდან (მადესთან გასული პირველი ზონის მოთამაშისგან) და ამის შემდეგ უნდა დაარტყას. მაგრამ ყოველთვის ასე როდი ხდება. პირველი ზონის მოთამაშე მოულოდნელად ბურთს გაუზავნის მეექვსე ზონაში და სწორედ ამ ზონის მოთამაშე ასრულებს თავდასხმით დარტყმას. ამ შემთხვევაში ბლოკის შემსრულებლები უძლურნი არიან: თავდაცვის ხაზის გასამაგრებლად უკან ვერ დაიხევენ, ვინაიდან მეტოქეები მოკლედ ჩაჭრიან ბურთს; ადგილზე დარჩებიან და, ზემოთქმულის გამო, ბლოკს აზრი-არ ექნება, რადგან შემტევი გუნდი იოლად მოძებნის გამოსავალს.

ამგვარად, თუ შეტევას 5 მოთამაშით განვახორციელებთ, შევძლებთ გადავწყვიტოთ 30 წლის წინ წამოჭრილი პრობლემა (სწორედ მაშინ შემოიღეს თავდასხმის 3-მეტრიანი ხაზი. თავდაცვის მოთამაშეებს წესით ეკრძალებათ შეტევითი მოქმედება მოედნის ამ ზონიდან. ახლა კი მდგომარეობა უფრო გართულდა: ახალი წესების მიხედვით ბლოკის შემსრულებლებს უფლება აქვთ ხელები ბადეზე გადაიტანონ).

ხუთი მოთამაშით შეტევა ცვლის ბლოკის შემსრულებლებთან თანაფარდობას. ხუთი თავდამსხმელის წინააღმდეგ შეიძლება ბლოკის მხოლოდ 3 მოთამაშე გამოიყვანო. ამგვარად, წარმატების შანსები თავდამსხმელთა მხარეს იქნება.. თუ გუნდი თავდასხმითი მოქმედების 15-20 პროცენტს შეასრულებს უკანა ხაზის მოთამაშეთა ხარჯზე, შეტევითი ოპერაციები უმრავლეს შემთხვევაში სასურველი შედეგით დამთავრდება.

დასკვნა: ხუთი მოთამაშით შეტევა ბლოკთან ბრძოლის ყველაზე შედეგიანი საშუალებაა.

ე. ამირანაშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

### ფრენბურთელებო, ყურადღება!

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთის, ფრენბურთისა და მოძრავი თამაშების კათედრა თბილისის ფრენბურთელებსა და სპორტის ამ სახეობის მწვრთნელებს იწვევს ვაჟთა გუნდების საჩვენებელ შეხვედრაზე პრინციპით: „შეტევა ხუთეულით“.

თამაში გაიმართება 30 ივნისს ინსტიტუტის დარბაზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49). დასაწყისი 11 საათზე.

## ინგირელებმა იმარჯვეს

დამთავრდა „სპარტაკის“ ზუგდიდის რაიაბჭოს სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში 6 სახეობა შედიოდა. შეჯიბრებაში 12 კოლექტივი მონაწილეობდა. საერთო გუნდური პირველობა მოიპოვეს ინგირის კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ტექნიკუმის (დირექტორი ვ. შონია, ფიზაღზრდის მასწავლებლები მ. პაჭკორია და შ. გადელია) სპორტსმენებმა. II ადგილზე გავიდნენ ზუგდიდის ჩაის № 1 ფაბრიკის, III — ცაიშის ჩაის ფაბრიკის წარმომადგენლები.

მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის გაერთიანებული კოლექტივის, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის, ნარაზენისა და ორჯონიკიძის ჩაის ფაბრიკების ფიზკულტურელებს სპარტაკიადის არც ერთ სახეობაში არ მიუღიათ მონაწილეობა.

ბ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა

# „ლოკომოტივი" შინ და გარეთ

„ა" ჯგუფი
II ჯგუფი
III ქვეჯგუფი

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 27 ივნისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) 1:0 (1:0).

„ლოკომოტივი": ბერიძე, პანოვი, ონიანი, ფრიდმანი, მირიანაშვილი, ძაგანია, ჭელიძე, მაზიაშვილი, მიქაშავიძე, ჭეიშვილი (გვასალია), მელიქიძე (მეხხაძე).

„სპარტაკი": ნოვოსელოვი, შჩეგოლეევი, კოროლიოვი, ტებენევი, ვოლკოვი, რომანოვი, ხოხრიაკოვი, ონიხოვიჩი, კოზლოვი, ილინი, გორდეევი.

მსაჯი გ. კარაპეტიანი (ერევანი).

ლუბლიორები — 2:2.

თუ შევადარებთ თბილისის „ლოკომოტივის" შინ და გარეთ ჩატარებულ შეხვედრათა შედეგებს, საკმაოდ მრავლისმეტყველ სურათს მივიღებთ. შინ რკინიგზელები იმედიანად გრძნობენ თავს. დღემდე მათ თავიანთ სტადიონზე 8 კალენდარული მატჩი ჩაატარეს, 3 ქულა დაკარგეს და 13 აიღეს. საუკეთესო შედეგია!

მაგრამ საკმარისია ლოკომოტიველებმა დატოვონ მშობლიური ქალაქი და გუნდს ვეღარ იცნობთ. გასვლაზე მან წლეულს 7-ჯერ ითამაშა და სულ 3 ქულა აიღო ისე, რომ არც ერთი თამაში არ მოუგია (4 წააგო, 3 ფრედ დაამთავრა — 11 ქულა დაკარგა).

რა კომენტარი შეიძლება გავაკეთოთ იმ მატჩებზე, რომლებიც თბილისელ მაყურებელს არ უნახავს? ეტყობა, „ლოკომოტივის" მოთამაშეებს აკლიათ ის ბრძოლისუნარიანობა, რომელიც ფეხბურთელს ჭირდება მეტოქის მინდორზე სრული ძალით თამაშისთვის და გარკვეულ სიძნელეთა დაძლევისათვის. როგორ უნდა იფიქროს გუნდმა წარმატებაზე, თუ მას გასვლით თამაშებში ძალა არ შესწევს ქულათა გარკვეული მინიმუმი მაინც აიღოს?

არც ეს სარეცენზიო მატჩი გამოდგა მაინცდამაინც სახარბიელო, თუმცა „ლოკომოტივი" საკუთარ სტადიონზე, თავის გულშემატკივართა წინაშე თამაშობდა. ისევ აუწყობელი ქაოსია მინდვრის შუაგულში, ისევ გაუთავებლად ატარებენ ბურთს თავდამსხმელები, არ იხსნებიან თავისუფალ პოზიციაში გადაცემის მისაღებად. შეცდომებით თამაშობს დაცვა. ბერიძეც ერთობ გაუბედავად იდგა კარში.




პირველი ტაიმი, უფრო სწორად, მისი დასაწყისი მთლიანად თბილისელებისა იყო. „სპარტაკის" კარის წინ ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მიქაშავიძე, მელიქიძე, მაზიაშვილი არაერთხელ იყვნენ საუკეთესო მდგომარეობაში, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო გადამწყვეტი ზუსტი დარტყმა. გოლი გატანილ იქნა მხოლოდ 38-ე წუთზე, დაახლოებით 30 მეტრიდან. ჭელიძის საუცხოოდ დარტყმულმა ბურთმა ზუსტად მიაღწია კარის მაღალ მარცხენა კუთხეს — 1:0.

ეს იყო და ეს. შესვენების შემდეგ „ლოკომოტივმა" ძალიან ცუდად ითამაშა, დაკარგა ტერიტორიული უპირატესობა და ბოლო წუთებზე იღბლად გადაურჩა საპასუხო გოლს, როცა ახლოდან დარტყმული ბურთი ზედა ძელს მოხვდა.

დაბოლოს, კიდევ ერთი უსიამოვნო მხარე მატჩისა: მსაჯმა სამართლიანად გააძევა მინდვრიდან ძაგანია და კოზლოვი, რომლებმაც ფეხები დაუშინეს ერთმანეთს, როცა ბურთი მინდვრის გარეთ იყო გასული.

**რ. ქორიძე.**

## „შახტიორის" ფრე და სხვა შედეგები

გუშინწინ გამართული სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) 2:0, „თერგი" (გროზნო) „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) 1:1, „ფოლადი" (სუმგაითი) — „რუბინი" (ყაზანი) 1:0, „მეშახტე" (ტყიბული) — „ვოლგარი" (ასტრახანი) 1:1, „შირაკი" (ლენინაკანი) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 2:1, „ზვეზდა" (პერმი) — „ზენიტი" (იჟევსკი) 0:0.

სსრ კავშირის თასი

# „პახტაკორმა" იმძლავრა



ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 27 ივნისი.

„დინამო" (ბათუმი) — „პახტაკორი" (ტაშკენტი) 0:2 (0:1).

„დინამო": კვახაძე, ჩხაიძე, ქორიძე, სირბილაძე, გიორგიადი, ილურიძე, დიმანოვი, ოვანესიანი (ხაბიბულინი), გიორგაძე, მაისურაძე, ვერულიძე.

„პახტაკორი": ლიუბარცევი, პეტუხოვი, შტერნი, ნაუმენკო, ინოიატოვი, შარიპოვი, ვარიუხინი, რახმატულაევი, ბექთაშევი, კრასნიცკი, გალეევი (იუნუსოვი).

მსაჯი პ. გავრილიადი (სოჭი).

უმაღლესი ლიგის წარმომადგენლის გამოსვლას საკავშირო თასის მატჩში ბათუმელი სპორტის მოყვარულნი დიდი ინტერესით შეხვდნენ. სავსე ტრიბუნები თვალს არ აცილებდნენ დაძაბულ ბრძოლას, რომელიც მინდორზე გაჩაღდა.

ბათუმელებმა კარგად დაიწყეს ბრძოლა მერვედფინალში გასვლის უფლებისთვის. უკვე მე-2 წუთზე გიორგაძე ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩნდა და ლიუბარცევს მოუხდა მისი ძლიერი დარტყმის მოგერიება. მართალია, ცოტა ხანში ასეთივე სახიფათო მომენტი შეიქმნა დინამოელთა კართან, მაგრამ მერე, 25-ე წუთზე ოვანესიანი პირისპირ გავიდა ლიუბარცევთან და ამ უკანასკნელმა ისევ შეძლო თავისი გუნდის ხსნა აშკარა გოლისგან.

შემდგომში თანდათან ცხადი შეიქნა „პახტაკორის" საერთო უპირატესობა, რაც მალე გოლით დამთავრდა: 28-ე წუთზე კრასნიცკიმ მიიღო ბექთაშევის გადაცემა და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

კიდევ უფრო დამაჯერებლად თამაშობდნენ სტუმრები შესვენების შემდეგ. ბათუმელებმა ნაადრევად მიიჩნიეს თავი დამარცხებულად და ღრმა დაცვაზე გადავიდნენ, რაც სავსებით ხელს უწყობდა „პახტაკორს".

54-ე წუთზე „დინამოს" კარში 25 მეტრის მანძილიდან დაინიშნა საჯარიმო. კრასნიცკიმ მოძებნა გზა მცველთა მიერ აღმართულ კედელში და უძლიერესი დარტყმით ზუსტად გაგზავნა იქ ბურთი — 2:0. ამის შემდეგ იმავე კრასნიცკის მიერ დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

მასპინძელთა მოკრძალებულ ცდებს — გაეტანათ თუნდაც ერთი საპასუხო ბურთი, შედეგი არ მოჰყოლია.

**ო. მურვანიძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# „არარატის" ბედი გაიზიარეს...

„ა" კლასის უძლიერესი ჯგუფის პირველი გუნდი, რომელიც გამოეთიშა სსრ კავშირის თასის წლევანდელ გათამაშებას, როგორც ცნობილია, ერევნის „არარატი" იყო.

ერევნელთა ბედი გაიზიარა 27 ივნისს უმაღლესი ლიგის ზოგიერთმა სხვა გუნდმაც. კიროვაბადის „დინამომ" მარცხი განიცადა კიევში ადგილობრივ არმიელებისგან — 0:1, „ა" კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის ლიდერმა — სვერდლოვსკის „ურალმაშმა" მიიღო ოდესის „ჩერნომორეცი" და დაამარცხა იგი ანგარიშით 3:1. ამავე ანგარიშით მოუგო კემეროვოს „კუზბასმა" ლენინგრადის „ზენიტს".

კიშინიოვის „მოლდოვამ" თამაშის ძირითადი დრო ფრედ დაამთავრა მინსკის „დინამოსთან" — 0:0. დინამოელებმა მხოლოდ დამატებით დროში შეძლეს გამარჯვება — 2:1. ბაქოს „ნეფტჩიმ" უფაში დაამარცხა ადგილობრივი „სტროიტელი" — 2:0.

# „დილა" წინ მიიწევს

გასულ ხუთშაბათს გორის სტადიონზე შედგა მეტად საინტერესო მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ III ზონის ლიდერთა ჯგუფში მყოფი გუნდები — ადგილობრივი „დილა" და ორიოლის „სპარტაკი".

მატჩის დასაწყისი ერთობ დრამატული გამოდგა მასპინძელთათვის: მე-3 წუთზე სპარტაკელმა საზოგადოება... ნოვმა ზუსტად და ძლიერად შეასრულა საჯარიმო, შორიდან დარტყმული ბურთის აღება მასპინძელთა მეკარემ ვერ შეძლო და ანგარიშიც გაიხსნა.

მარცხს მოჰყვა გორელთა განუწყვეტელი იერიშები და მიუხედავად ამისა, ტაიმის ბოლო წუთამდე წინ კვლავ „სპარტაკი" იყო. ანგარიში გათანაბრდა მხოლოდ 45-ე წუთზე. ივანოვი გავიდა მარჯვენა ფლანგზე, ჩააწოდა კარის წინ და აბაიშვილმა გაიტანა საპასუხო ბურთი.

გორელთა უპირატესობით მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც. 69-ე წუთზე შეცდომით ითამაშეს სტუმრების მეკარე ალექსეევმა და მცველებმა. ამ მომენტში კარის სიახლოვეს აღმოჩნდა „დილის" მარჯვენა მცველი ნასყიდაშვილი და სტუმრების კარი აღებულ იქნა — 2:1.

„დილამ" დამსახურებულ და მეტად საჭირო გამარჯვებას მიაღწია.

**გ. გოზალიშვილი.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
გორი.

„ბ" ჯგუფი

# უზალისო თამაშის ნაყოფი

რუსთავის „მეტალურგის" ფეხბურთელებს გუშინწინ განსაკუთრებული მონდომებით და სიძლიერით უნდა ეთამაშათ, ვინაიდან მათი მეტოქე იყო ზონის მეორე ლიდერი—კურსკის „შრომითი რეზერვების" გუნდი, მაგრამ სწორედ ამ მატჩში გამოავლინეს მასპინძლებმა სრული პასიურობა და ინერტულობა, რის შედეგად კურსკელმა ფეხბურთელებმა ისე აილეს 2 ქულა, რომ დიდი ჯაფა არც დასდგომიათ. „მეტალურგის" თავდამსხმელებმა მთელი მატჩის მსვლელობაში სულ 2-3 სახიფათო მომენტი თუ შექმნეს, დანარჩენ დროს კი თამაში შუა მინდორში მიმდინარეობდა. ამას გარდა, როცა შეტევაზე სტუმრები გადმოდიოდნენ, თავიანთ მხრივ ზედიზედ უშვებდნენ შეცდომებს მცველები.

ანგარიში გაიხსნა უკვე მე-3 წუთზე. საჯარიმო მოედანზე მოწოდებული მაღალი ბურთი გადაცდა მცველებსაც და მეკარე ჩლაიძესაც, ხოლო „შრომითი რეზერვების" მარცხენა გარემარბმა კირიჩენკოს არავინ უშლიდა ხელს დაერტყა კარში — 1:0.

მე-19 წუთზე კირიჩენკომ ხელმეორედ ისარგებლა მცველთა შეცდომით და მეორედ მოათავსა ბურთი „მეტალურგის" კარში — 2:0.

მასპინძლები ასევე უხალისოდ განაგრძობდნენ თამაშს შესვენების შემდეგ. მათი მარცხი სავსებით კანონზომიერია.

**რ. გაბრიჩიძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
რუსთავი.

# გუშინ...

თბილისის დინამოელებმა მიიღეს როსტოვის არმიელთა გუნდი. მატჩის შედეგია 3:0 მასპინძელთა სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს გავაშელმა, მეტრეველმა და ასათიანმა.

ქუთაისის „ტორპედომ" მარცხი განიცადა ლუგანსკში ადგილობრივ „ზარიასთან" შეხვედრაში — 1:3.

კიევში შედგა თასის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა ადგილობრივ „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკს" შორის. გაიმარჯვეს კიეველებმა — 3:0. გოლების ავტორები არიან ხმელნიცკი და საბო (2).




# ბავშვობიდან ხანდაზმულობამდე

ძნელი სათქმელია, როდის დაიწყო ფეხბურთი ვარლამ შავდიასთვის. რა თქმა უნდა, ადრეულ ბავშვობაში, მაშინ, როცა თბილისში სათამაშო მოედნებიც საკმარისად იყო და თამაშის მსურველიც.

ფეხბურთს ყველა მისი თანატოლი მისდევდა ბავშვობაში, მაგრამ უმეტესობამ თამაში ადრევე მოათავა, სიჭაბუკეში შესვლის დროს, ვ. შავდიასთვის კი იგი მთელი ცხოვრების თანამხლებ, შესისხლხორცებულ ამბად იქცა და მერეც, როცა დადგა სათამაშო ფორმასთან საბოლოო გამოთხოვების ჟამი, მან ახალი ასპარეზი მონახა ფეხბურთში, იყო მსაჯი, მწვრთნელი, საზოგადოებრივი მუშაკი.

ვ. შავდიამ მსაჯობა ადრევე დაიწყო—1937 წელს და საკავშირო კატეგორიის არბიტრის წოდებამდე მიაღწია. 1948-55 წლებში იგი ხელმძღვანელობდა ფეხბურთის მსაჯთა თბილისის კოლეგიას, ხოლო მას შემდეგ დღემდე რესპუბლიკური კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარეა და საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმის წევრი. საზოგადოებრივ საქმიანობას, რასაკვირველია, ბევრი დრო მიაქვს, მრავალი საჭირბოროტო და აქტუალური საკითხია გადასაჭრელი, მაგრამ ფეხბურთის ნამდვილმა სიყვარულმა არ იცის უქანდახევა ასეთ დროს და ვ. შავდიაც კეთილსინდისიერად, ერთგულად ემსახურება საყვარელ საქმეს.

ასეთივე ერთგულებით მუშაობდა ვ. შავდია თბილისის განთქმულ 35-ე საფეხბურთო სკოლაში, რომელიც შესანიშნავ მოთამაშეთა სამჭედლოს წარმოადგენდა. სწორედ მის ხელში გაიარეს წრთობა ისეთმა ფეხბურთელებმა, როგორიცაა ზ. კალოევი, მ. მესხი, დ. ხუნდაძე და სხვანი. პედაგოგის ეს შრომა სათანადოდ იქნა დაფასებული და ვ. შავდიას 1966 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

დღეს ვ. შავდია 50 წლისაა, მაგრამ ფეხბურთი მისთვის არ გათავებულა. იგი კვლავ აქტიურ საზოგადოებრივ სამუშაოზეა, ამზადებს კვალიფიციურ მსაჯთა ახალ კადრებს და ისევ და ისევ დიდი ფეხბურთის სამსახურშია.

ვუსურვოთ ვეტერანს ახალი წარმატებები მის მიერ არჩეულ კეთილშობილურ, საშვილიშვილო ასპარეზზე.

**„ლელოს" რედაქცია.**




ვ. შავდია.
მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი.

ეროვნული

# გამომცდელი ცუდი პედაგოგი გამოდგა



ძიუდო რომ იაპონელთა სათაყვანო სპორტია, ეს საყოველთაოდ აღიარებული ამბავია. ამომავალი მზის ქვეყანაში სახელოვან ფალავნებზე სიმღერებსა და ლეგენდებს თხზავენ, უძლეველი ფალავნები იმპერატორებზე ნაკლები დიდებით როდი სარგებლობენ. დიდი ჯაფა დაადგა ამ ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტს სპორტის ეს სახეობა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში რომ შეეტანა. XVIII ოლიმპიადის დაწყების წინა დღეებში ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე იაპონელებმა ჭიდაობის ამ ნაირსახეობის ჩატარების ახალი ფორმულა წამოაყენეს. ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე კამათი სულ ცოტა... 13 საათს გაგრძელდა. ეს მოწმობს, რა ფანატიკურად უყვართ ძიუდო იაპონიაში და განა მარტო იაპონიაში, — აზიის მთელ რიგ ქვეყნებშიც, საფრანგეთშიც, ჰოლანდიაშიც და სხვაგან.

პოპულარული გახდა ძიუდო ჩვენშიც, კერძოდ, უკრაინაში, მოსკოვში, განსაკუთრებით კი საქართველოში. ჩვენი რესპუბლიკა ამაყობს ევროპის ჩემპიონებითა და ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ფალავნებით. სამბოს ოსტატები ჩინებულად ითვისებენ ძიუდოს ილეთებს და წარმატებით გამოდიან „დიდ ხალიჩაზე“.

და აი, ძიუდოს სამშობლოს სახელგანთქმული ოსტატები საქართველოს დედაქალაქს ესტუმრნენ. თბილისის ცირკის შენობაში 26 ივნისს შედგა იაპონიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ ხალიჩაზე გამოვიდა პირველი წყვილი: ევროპას წლევანდელი ჩემპიონი ფ. მარტყოფლიშვილი და სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონი ი. სონოდა. ქართველმა ფალავანმა თავიდანვე შეუტია მეტოქეს და აქტიურობით რომ ვერაფერს გახდა (უნდა ითქვას, რომ იაპონელი მარტყოფლიშვილზე ღონიერი ჩანდა), უფრო ფრთხილად მოქმედებდა. ამასობაში ჭიდაობის დროც ამოიწურა. ფრე.

იაპონელებმა უკვე მომდევნო წონაში იზეიმეს გამარჯვება. ჭიდაობის დაწყებიდან ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ ჩვენი ი. იმერლიშვილი ტ. მიტომის მარწუხებში მოექცა და წმინდად დამარცხდა.

● ნათელაშვილი ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია და ი. ტისიუსთან შეჯიბრება ქართული ჭიდაობისთვის ჩვეულ ტემპში დაიწყო. ქართველ ფალავანს მეტოქე არ აჰყვა. იგი ძალიან ფრთხილად მოქმედებდა, ალბათ, მომენტს ეძებდა გადამწყვეტი ილეთის განსახორციელებლად. საბოლოოდ გამარჯვების გზა მეტოქეებმა ვერ გამოძებნეს და შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

როცა ხალიჩის ერთ მხარეს რ. მაღალთაძე დადგა, მაყურებელი მას მქუხარე ტაშით შეხვდა. ეს გასაგები იყო. გორელმა ვაჟკაცმა გაბედული და ოსტატური ჭიდაობით მოხიბლა ლოზანელი მაყურებლები, სადაც ევროპის ჩემპიონობა მოიხვეჭა. შვეიცარიულმა პრესამ მას დიდი ხოტბა შეასხა. მაღალთაძის მეტოქე ი. იამაძაკიც საკმაოდ ძლიერი და უაღრესად [illegible] შეხვედრა თანაბრად წარიმართა. არც ერთ მეტოქეს თითქმის არ ჰქონია ნაღდი ილეთის ჩატარების საშუალება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ იაპონელმა ხალიჩის გარეთ შეძლო ნახევარქულიანი ილეთზე მეტოქის „გამოჭერა“. მაგრამ ეს ხომ ხალიჩის გარეთ იყო! გვერდითი არბიტრის — იაპონელი მსაჯის დაჟინებითი მოთხოვნით გამარჯვება იაპონელს მიაკუთვნეს. ეს გადაწყვეტილება ვერც მსაჯთა კოლეგიის ხუთწუთიანმა დავამ შეცვალა.

საერთოდ, იაპონელი მსაჯი უსაფუძვლოდ ერეოდა ხალიჩის არბიტრის ფუნქციებში. და თუ იაპონელი ძიუდოისტები მკაცრი გამომცდელების სახით მოევლინენ ჩვენს დედაქალაქს, ვფიქრობთ, ასეთი პედაგოგის მოწაფე კარგსა და სახარბიელოს ვერაფერს შეიძენს.

ი. სონოდამ სძლია ვ. ბორჩაშვილს.

დავმარცხდით შემდეგ შერკინებაშიც. გ. გოგოლაურს ვერავინ უსაყვედურებს, რომ მსოფლიო ჩემპიონ ე. მარუკის ტიტულს შეუშინდა და ფარ-ხმალი თავიდანვე დაყარა. პირიქით, ქართველმა მოჭიდავემ ისე მედგრად შეუტია მეტოქეს, რომ ერთ მომენტში იაპონელი მთლად გაოგნდა. ქართველი ფალავანი გამარჯვებისთვის იბრძოდა, ნახევარქულიან ილეთზეც კი დაიჭირა მარუკი, მაგრამ შეხვედრის დამთავრებას წამები რომ აკლდა, იაპონელმა წმინდა გამარჯვებას მიაღწია.

ვერ დავემდურებით გ. კახაბრიშვილსაც. მისი მეტოქე მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი ი. ოკანო იყო და მასთან მარცხი სამარცხვინო როდია.

ო. ქიბროწაშვილისა და მ. ტაბატას შეხვედრა თანაბარ ჭიდილში მიმდინარეობდა და შედეგიც ასეთივე იყო: ფრე. ასევე დამთავრდა ი. თანდილოვისა და კ. ნიკომიას ორთაბრძოლაც.

გამარჯვება მოიპოვა გ. ონაშვილმა ტ. კავაბატასთან. მან ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა მეტოქეს. იაპონელი ხან ფეხს იტკიებდა, ხან რას. შეხვედრის მომსახურე სამედიცინო პერსონალი იძულებული იყო ტკივილის გამაყუჩებელი საშუალებანი მიეცა მისთვის. შეხვედრის განახლებისას ონაშვილმა ბრწყინვალე ილეთი განახორციელა და მეტოქე ბეჭებით დაანარცხა ხალიჩაზე.

რ. ოდიშელიძე წმინდად დამარცხდა მ. სინომაკისთან.

საერთაშორისო შეხვედრა დამთავრდა იაპონელების გამარჯვებით — 6:1. (უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს გუნდში არ გამოდიოდნენ მოწინავე სპორტსმენები ა. კიკნაძე და ა. ქიბროწაშვილი). ძალაუნებურად ვიფიქრეთ: დადგა დრო, როცა ძიუდომ საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა. ჩვენც მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ჭიდაობის ამ სახეობას, უნდა გვყავდეს ძლიერი გუნდი. იაპონელებთან ასპარეზობისას კი ჩვენი ნაკრების ზოგიერთ მოჭიდავეს აშკარად ეტყობოდა ძიუდოს ილეთების უცოდინარობა.

**ე. გოცელაური.**

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** ფ. მარტყოფლიშვილისა და ი. სონოდას ორთაბრძოლა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# 12 მატჩი ერთდროულად

სოჭში მიმდინარეობს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების XII ტრადიციული ამხანაგური მატჩი. თვითეულ გუნდში 12 მოთამაშეა (7 ვაჟი, 3 ქალი, 2 ჭაბუკი), რომელთა შორის ვერ ვხედავთ ზოგიერთ ცნობილ დიდოსტატს. და მაინც, შეჯიბრება დიდ ინტერესს იწვევს. მეტოქენი ერთმანეთში პატარა მატჩებს (4 პარტია) თამაშობენ.

პირველ ორ ტურში დაწინაურდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები — 17:6 (1 პარტია გადაიდო).

აი, შეხვედრათა შედეგებიც (პირველად ვასახელებთ მასპინძლებს):

**I ტური.** გელერი — გლიგორიჩი 0,5:0,5, ბრონშტეინი — ივკოვი 0,5:0,5, ხოლმოვი — მატულოვიჩი 0,5:0,5, ი. ზაიცევი — ბუკიჩი 1:0, სახაროვი — ოსტოიჩი (გადაიდო), გურგენიძე — ნიკოლიჩი 0,5:0,5, პლატონოვი — მინიჩი 0,5:0,5, რანიკუ — ლილიაკი 1:0, ალექსანდრია — იოვიჩ-ქიევკოვიჩი 1:0, კონოპლიოვა — ბელამარიჩი 1:0, შტეინბერგი — ფუკაჩი 1:0, კარპოვი — ბუიაკოვიჩი 1:0.

**II ტური.** გელერი — გლიგორიჩი 0,5:0,5, ბრონშტეინი — ივკოვი 1:0, ხოლმოვი — მატულოვიჩი 0,5:0,5, ი. ზაიცევი — ბუკიჩი 1:0, სახაროვი — ოსტოიჩი 1:0, გურგენიძე — ნიკოლიჩი 0,5:0,5, პლატონოვი — მინიჩი 0,5:0,5, რანიკუ — ლილიაკი 1:0, ალექსანდრია — იოვიჩ-ქიევკოვიჩი 1:0, კონოპლიოვა — ბელამარიჩი 0,5:0,5, შტეინბერგი — ფუკაჩი 0:1, კარპოვი — ბუიაკოვიჩი 1:0.

იუგოსლაველებს ტრადიციულად უჭირთ თამაში ჩვენებთან. განსაკუთრებით ეს ქალებსა და ჭაბუკებზე ითქმის. რანიკუმ, ალექსანდრიამ და კონოპლიოვამ 5,5 ქულა მოაგროვეს 6 პარტიაში. აღსანიშნავია ქართველი მოჭადრაკის მწვავე კომბინაციური იერიში ორივე შეხვედრაში. მეორე პარტიაში ალექსანდრიამ ისე მოუგო ლ. იოვიჩ-ქიევკოვიჩს, რომ სულიც არ მოათქმევინა.

ჩვენს ჭაბუკებს ალბათ 4-დან 4 ქულა ექნებოდათ, ხარკოველ მ. შტეინბერგს უკეთეს მდგომარეობაში პაიკი და მერე პარტია რომ არ წაეგო.

დიდოსტატებიდან მხოლოდ ბ. ივკოვი დამარცხდა: თანაბარ პოზიციაში დროს გადააცილა.

**III ტური.** გელერი — გლიგორიჩი 0,5:0,5, ხოლმოვი — მატულოვიჩი 0,5:0,5, სახაროვი — ოსტოიჩი 1:0, პლატონოვი — მინიჩი 0:1, რანიკუ — ლილიაკი 0:1, კონოპლიოვა — ბელამარიჩი 1:0, შტეინბერგი — ფუკაჩი 1:0, კარპოვი — ბუიაკოვიჩი 1:0. სხვა პარტიები გადაიდო. ალექსანდრიამ და გურგენიძემ თავიანთი პარტიები უარეს პოზიციაში გადადეს.

ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 22:9 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

# 0,1 წამით

როგორც ვიტყობინებოდით, მოსკოვში „პრავდას“ პრიზზე გამართულ საერთაშორისო მძლეოსნურ ტურნირში ყველა რესპუბლიკის საუკეთესო მორბენლებიც მონაწილეობდნენ. ემასაც ვწერდით, რომ 80 მეტრზე თარჯრბენში ვ. კორსაკოვა და ლ. იევლევა ცრუ სტარტებისთვის ასპარეზობიდან მოიხსნენ. სამაგიეროდ, თბილისელმა თ. როჟმანოვამ ფინალში 11,6 წამი აჩვენა და VI ადგილი დაისაკუთრა.

კარგად იასპარეზეს თბილისელმა ვ. ქუთათელაძემ და ქუთაისელმა ი. კოზელსკიმაც. კოზელსკი 400 მეტრზე თარჯრბენში ცდიდა ძალას. მართალია, მან გამარჯვებულ ვ. სკომოროხოვთან (უკრაინა) 0,2 წამი წააგო, მაგრამ II ადგილი მოიპოვა და საქართველოს ახალი რეკორდიც დაამყარა — 50,9. ეს 0,1 წამით სჯობს მის წინანდელ მიღწევას.

ვარდო ქუთათელაძე ორ დისტანციაზე გამოვიდა და ორივეჯერ კარგი შედეგი აჩვენა: 100 მეტრი 11,9 წამში გაირბინა, 200 კი 24,5 წამში (პირადი რეკორდი). ქუთათელაძემ ამ დისტანციაზე VI ადგილი დაიკავა.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# ფ. რიერა — ჩილის ნაკრების სათავეში

ჩილის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დანიშნა გამოჩენილი სპეციალისტი ფ. რიერა. 1962 წელს, როცა მსოფლიო ჩემპიონატი ჩილიში ჩატარდა, მასპინძლებმა რიერას ხელმძღვანელობით III საპრიზო ადგილი დაიკავეს. მომდევნო წლებში რიერა წვრთნიდა ლისაბონის „ბენფიკას“, სადაც არაერთი ტრიუმფი იზეიმა.

1966 წელს ჩილიელებმა არ უსმინეს რიერას რჩევას, რომელმაც გუნდის მაშინდელ ხელმძღვანელებს ნაკრების თავისი შემადგენლობა შესთავაზა.

ახლა მწვრთნელმა განაცხადა, რომ მისი გუნდი გულდასმით მოემზადება 1970 მსოფლიო ჩემპიონატისთვის. ნაკრების შემადგენლობის გასარკვევად და ახალგაზრდა ფეხბურთელთა გამოსაწრთობად რიერას დაგეგმილი აქვს საწვრთნელი მატჩების მთელი სერია.

# მოკლედ

**ვარშავა,** 27 ივნისი. საბჭოთა ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგად ცნობილმა გუნდმა „გურნიკმა“ (ზაბჟე) პოლონეთის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში დაამარცხა ქვეყნის ჩემპიონი — ხოჟუვის „რუხი“ — 3:0.

„გურნიკმა“ მოიპოვა უფლება პოლონეთი წარმოადგინოს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში, სადაც სსრ კავშირიდან გამოვა მოსკოვის „დინამო“. „რუხი“ მონაწილეობას მიიღებს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. საბჭოთა კავშირიდან აქ იასპარეზებს კიევის „დინამო“.

**ნიუ-იორკი,** 27 ივნისი. აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში პელეს გუნდმა — ბრაზილიის „სანტოსმა“ დიდი ანგარიშით (6:2) მოუგო თამაში იტალიის „ნაპოლის“. 2 ბურთი გაიტანა თვით „ფეხბურთის მეფემ“ პელემ და ორიც მისი მიწოდებიდან — ტონინიომ.

# 18 საათი ბობოქარ ოკეანეში

**ბრესტი** (საფრანგეთი), 27 ივნისი. აფროსანთა ტრანსატლანტური რბოლის მონაწილე ერთადერთი ქალი — 26 წლის ედიტ ბაუმანი (გფრ), რომელსაც ავარია შეემთხვა, გადარჩენილია. აზორის კუნძულების ჩრდილოეთით 300 მილზე იგი თანამემამულე მეთევზეთა გემზე „მაგდალენა ვინენზე“ აიყვანეს. მას შემდეგ, რაც ედიტის ტრიმარანი „კოალა-3“ ქარის ძლიერმა ნაკადმა გადააბრუნა, რეზინის პატარა ნავში გადაბარგებულმა სპორტსმენმა 18 საათი გაატარა ოკეანის ბობოქარ ტალღებზე. ბაუმანის ნავი პირველად ამერიკელმა მფრინავებმა შენიშნეს, შემდეგ საფრანგეთის საზღვაო ავიაციის თვითმფრინავმა.

ამასობაში „ფინიშის ხაზი“ ნიუპორტში (აშშ) რბოლის მონაწილეებიდან პირველმა გადაკვეთა ინგლისელმა ჯეფრი უილიამსმა თავისი 20-მეტრიანი იახტით „სერ ტომას ლიპტონი“.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**წყალსამოტორო სპორტი.** თბილისის ზღვა. 29-30 ივნისი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 10 ს.

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. I ჯგუფი. 2 ივლისი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი). სათადარიგო შემადგენლობანი. 3 ივლისი. ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. 30 წ. „ლოკომოტივის“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის II ჯგუფი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „რუბინი“ (ყაზანი). 30 ივნისი. სათადარიგო შემადგენლობანი. 1 ივლისი. ძირითადი შემადგენლობანი. მატჩების დასაწყისი 18 ს. 30 წ. საქართველოს პირველობა. 30 ივნისი. „ისნის“ სტადიონი. „ისანი“ (თბილისი) — „ლაითური“ (მახარაძის რაიონი). დასაწყისი 18 ს. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ცხაკაია). დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 07596